

შპს „კატასტროფის, კრიტიკული
მდგომარეობისა და განსაკუთრებული
სიტუაციების სასწრაფო სამედიცინო
დახმარება“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	3
საქმიანობის შედეგები.....	4
განმარტებითი შენიშვნები	
შენიშვნა 1. ზოგადი ინფორმაცია	6
შენიშვნა 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი	6
შენიშვნა 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	7-13
შენიშვნა 4. ხარჯები	13
შენიშვნა 5. ძირითადი საშუალებები	14
შენიშვნა 6. ფული და ფულის ექვივალენტები	14
შენიშვნა 7. მარაგი	14
შენიშვნა 8. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	15
შენიშვნა 9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15
შენიშვნა 10. საწესდებო კაპიტალი	15-16
შენიშვნა 11. ინფორმაცია ფინანსურ რისკებზე	17
შენიშვნა 12. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	17

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ორგანიზაციის დასახელება: შპს "კატასტროფის, კრიტიკული მდგომარეობებისა და განსაკუთრებული სიტუაციების სასწრაფო სამედიცინო დახმარება"

საიდენტიფიკაციო კოდი: 205283316

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31.12.2020	31.12.2019
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	6	18,158	23,074
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		810,228	868,501
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები		60,617	61,963
მარაგები	7	16,114	16,114
საინვესტიციო ქონება		-	-
სხვა მოკლევადიანი აქტივები		126,114	104,000
სულ მიმდინარე აქტივები		1,031,231	1,073,652
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	360,387	398,673
არამატერიალური აქტივები		1,228	1,228
სულ გრძელვადიანი აქტივები		361,615	399,901
სულ აქტივები		1,392,846	1,473,553
ვალდებულებები:			
სავაჭრო ვალდებულებები	9	-	26,214
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	9	-	4,831
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	8	23,614	23,614
სხვა ვალდებულებები	9	104,778	116,172
სულ ვალდებულებები:		128,392	170,831
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში „კაპიტალი“, კოოპერატივის შემთხვევაში „საპაიო კაპიტალი“)	10	1,097,323	1,097,323
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	10	128,081	166,349
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები		39,050	39,050
სულ საკუთარი კაპიტალი		1,264,454	1,302,722
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები:		1,392,846	1,473,553

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის მომზადებული ფინანსური ინფორმაცია ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 23 სექტემბერს.

დირექტორი:  /ამირან ქორიძე/

ფინანსური დირექტორი:  /დავით ბანცაძე/



შემოსავლების, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება;
საქმიანობის შედეგები

ორგანიზაციის დასახელება: შპს "კატასტროფის, კრიტიკული მდგომარეობებისა და განსაკუთრებული სიტუაციების სასწრაფო სამედიცინო დახმარება"

საიდენტიფიკაციო კოდი: 205283316

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31.12.2020	31.12.2019
ნეტო ამონაგები		67,110	80,057
საქონლის გაყიდვიდან		-	-
მომსახურების გაწვიდან		67,110	80,057
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		-	-
სხვა		-	-
გაყიდვების თვითღირებულება		-	-
საწყისი მარაგები		-	-
მარაგების შესყიდვა		-	-
გადამუშავების დანახარჯები		-	-
საბოლოო მარაგები		-	-
საერთო მოგება		67,110	80,057
სხვა საოპერაციო შემოსავალი		-	-
დასაქმებულთა ანაზღაურება		(57,964)	(79,500)
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი		(38,287)	(35,497)
საპროცენტო შემოსავალი		-	-
საპროცენტო ხარჯი		-	-
იჯარის ხარჯი		-	-
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები		(9,127)	(3,776)
სულ საოპერაციო ხარჯები:	(შენიშვნა 4)	(105,378)	(118,773)
საოპერაციო მოგება		(38,268)	(38,716)
გაუფასურების (ხარჯი)/ აღდგენა:		-	-
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი)/ აღდგენა		-	-
მარაგების გაუფასურების (ხარჯი)/ აღდგენა		-	-
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი)/ აღდგენა		-	-
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო		-	-
ოპერაციებიდან:		-	-
მიღებული დივიდენდები		-	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		-	-
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე		(38,268)	(38,716)
განგრძობითი ოპერაციებიდან		-	-
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი		(38,268)	(38,716)
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		-	-
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი		-	-
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და		-	-

დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი). სულ:

მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)

საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში

ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში „კაპიტალის გაზრდა“, კოოპერატივის შემთხვევაში „საპაიო კაპიტალ“....

განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)

სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში

კაპიტალის სხვა ცვლილებები

საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს

-	-
(38,268)	(38,716)
1,302,722	1,341,438
-	-
-	-
-	-
-	-
1,264,454	1,302,722

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის მომზადებული ფინანსური ინფორმაცია ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 23 სექტემბერს.

დირექტორი:  /ამირან ქორიძე/

ფინანსური დირექტორი:  /დავით ბანცაძე/



შპს „კატასტროფის, კრიტიკული მდგომარეობებისა და განსაკუთრებული სიტუაციების სასწრაფო სამედიცინო დახმარება“; ს/კ: 205283316
 კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ქართულ ლარში)

განმარტებითი შენიშვნები

შენიშვნა 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „კატასტროფის, კრიტიკული მდგომარეობებისა და განსაკუთრებული სიტუაციების სასწრაფო სამედიცინო დახმარება“ (ს/კ 205283316) (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოს მეწარმეთა შესახებ კანონის შესაბამისად საქართველოში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. „კომპანია“ დაფუძნდა 2009 წლის 16 ივლისს, მისი მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი ისნის რაიონი, წინანდლის ქ # 9. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბურალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, იგი წარმოდგენილია საქართველოს რესპუბლიკის ფულად ერთეულში (ლარში).

კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შედგება კომპანიისა და მისი სრულ საკუთრებაში მყოფი შვილობილი საწარმოს შპს „კატასტროფის მედიცინის ცენტრი“-ს (ს/კ 404854332) ფინანსური ანგარიშგებებისაგან. ფინანსურ ანგარიშგებაში ელიმინირებულია ყველანაირი შიდა ჯგუფური ოპერაცია, ნაშთი, შემოსავალი და ხარჯი.

შპს „კატასტროფის, კრიტიკული მდგომარეობებისა და განსაკუთრებული სიტუაციების სასწრაფო სამედიცინო დახმარება“-ის საქმიანობას წარმოადგენს სამედიცინო მომსახურების გაწევა, რომელიც 2020 წლის პერიოდში არ განხორციელდა.

მფლობელებს შორის წილები გადანაწილებულია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ამირან ქორიძე	25%	25%
დავით ბანცაძე	25%	25%
გიორგი ციციშვილი	25%	25%
ეთერი გოგიბერიძე	15%	15%
ლევან ქორიძე	10%	10%
სულ	100%	100%

შპს „კატასტროფის, კრიტიკული მდგომარეობებისა და განსაკუთრებული სიტუაციების სასწრაფო სამედიცინო დახმარება“; ს/კ: 205283316
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ქართულ ლარში)

შენიშვნა 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

განცხადება შესაბამისობაზე

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (IFRS for SMEs, შემდგომში „მსს ფასს“) შესაბამისად. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისთვის. კომპანიის მსს ფასს სტანდარტზე გადასვლის თარიღია 2017 წლის 1 იანვარი.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არ არის მითითებული. მსს ფასს სტანდარტზე გადასვლამდე, ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანიას არ მოეთხოვებოდა ფინანსური ანგარიშგების მომზადება. კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა ემყარებოდა საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობას. კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ნაშთები დამრგვალებულია ერთეულებამდე.

ფინანსური ანგარიშგებები შედგება სრული შემოსავლის ანგარიშგების, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისა და განმარტებითი შენიშვნებისგან.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. შემოსავლები და ხარჯები, აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. სრული შემოსავალი აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში და მოიცავს შემოსავლების და ხარჯების იმ პუნქტებს, რომლებიც არ არის აღიარებული მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც ეს დადგენილი ან დაშვებულია მსს ფასს-ის თანახმად. კომპანია მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს ფუნქციის მიხედვით ხარჯების კლასიფიკაციას. კომპანიის შეხედულებით, ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მკითხველებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით.

შენიშვნა 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია ქვემოთ არის წარმოდგენილი. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული ყველა პერიოდის მიმართ, თუ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული.

შპს „კატასტროფის, კრიტიკული მდგომარეობებისა და განსაკუთრებული სიტუაციების სასწრაფო სამედიცინო დახმარება“; ს/კ: 205283316
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად მოითხოვს გარკვეული კრიტიკული შეფასებების გამოყენებას და მენეჯმენტის მხრიდან მსჯელობას კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. საკითხები, რომლებშიც ასახულია ფინანსური ანგარიშგებისთვის მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები აგრეთვე საჭიროებენ მაღალი დონის მსჯელობას და კომპლექსურ მიდგომებს.

ამონაგების აღიარება

კომპანიაში შემოსავლების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც შემოსავლების ოდენობა საიმედოდ შეიძლება შეფასდეს, რომ მომავალში ეკონომიკური სარგებლის მოტანა შეუძლია კომპანიისთვის. ამონაგები მომსახურების გაწევიდან აღიარდება მაშინ, როცა მყიდველს მომსახურება მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. გაწეული მომსახურება აღიარებულია იმ საანგარიშო პერიოდში როდესაც მოხდა მომსახურების გაწევა. შემოსავლები ფასდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულების ოდენობით. გაყიდვები ნაჩვენებია დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები აღიარდება, როდესაც კომპანია ამ ინსტრუმენტების ხელშეკრულების მხარე ხდება. თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური ინსტრუმენტები ფასდება გარიგების ფასით.

კომპანიის ძირითად ფინანსურ აქტივებს წარმოადგენს ფული და ფულის ეკვივალენტები, სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება.

ფინანსური ვალდებულებები (ნასესხები თანხები, სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები) შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, საბაზრო საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს კომპანიის საბანკო ანგარიშებზე და სალაროში არსებულ თანხებს. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში. უცხოურ ვალუტაში გამოხატული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ანგარიშგების თარიღის მომენტისთვის. ტრანზაქციის თარიღის შემდეგ მომხდარი კურსთაშორის სხვაობის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

შპს „კატასტროფის, კრიტიკული მდგომარეობებისა და განსაკუთრებული სიტუაციების სასწრაფო სამედიცინო დახმარება“; ს/კ: 205283316
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ქართულ ლარში)

როგორც უკვე ავღნიშნეთ უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულად სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის, 31 დეკემბერს არსებული კურსით: 1 აშშ დოლარი = 3,2766 ეროვნული ლარი

სავაჭრო მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი.

ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო მოთხოვნები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2020
კერძო სადაზღვევო კომპანიები	126,535
სოციალური მომსახურების სააგენტო	-
სხვა ორგანიზაციები	683,693
სულ სავაჭრო მოთხოვნები	810,228

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

საწარმოს სააღივებო პოლიტიკის შესაბამისად, სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ხარჯის დასადგენად გამოიყენება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდი. სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს რომლებიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან და მის არსებულ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. მარაგების თვითღირებულების განსაზღვრისათვის როგორც წინა პერიოდებში, ასევე მიმდინარე საანგარიშო პერიოდში გამოყენებულია „პირველი შემოსავალში-პირველი გასავალში“ („ფიფო“) მეთოდი.

მარაგების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ღირებულებას, საიმპორტო, საბაჟო გადასახადს, სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო

შპს „კატასტროფის, კრიტიკული მდგომარეობებისა და განსაკუთრებული სიტუაციების სასწრაფო სამედიცინო დახმარება“; ს/კ: 205283316
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

ორგანომ კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის და უშუალოდ მარაგების შეძენასთან დაკავშირებულ სხვა დანახარჯებს. სავაჭრო ფასდაკლება და სხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში.

ძირითადი საშუალებები

საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკიდან გამომდინარე, საწარმო იყენებს ძირითადი საშუალებების აღრიცხვის თვითღირებულების მოდელს. ძირითადი საშუალებების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოყვანისათვის, ასევე აქტივის დემონტაჟისა და აღდგენისათვის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას. იმ შემთხვევაში თუ ძირითადი საშუალების ჯგუფი მოიცავს კომპონენტებს რომელთა გამოყენების ვადა ექსპლუატაციის პერიოდი განსხვავდება, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე როგორც ძირითადი საშუალების ცალკეული კომპონენტები.

ქვემოთ წარმოდგენილია ძირითადი საშუალებები:

- მიწის ნაკვეთი
- შენობა-ნაგებობები
- სამედიცინო აპარატურა (მანქანა-დანადგარები)
- საოფისე აღჭურვილობა
- ავეჯი და სხვა ინვენტარი
- სატრანსპორტო საშუალებები

ცვეთა

ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვის დაანგარიშება ხდება მათი დამონტაჟებისა და გამოყენების მზადყოფნაში მოსვლის დღიდან. რაც შეეხება კომპანიის მიერ აშენებულ აქტივებს, მათი ცვეთის დაანგარიშება ხდება აქტივების საბოლოო მდგომარეობამდე მიყვანის და მათი გამოყენებისთვის მზაობის დღიდან.

კომპანია წინა საანგარიშო პერიოდებში იყენებდა ცვეთის დარიცხვის კლებადი ნაშთის მეთოდს. ახალი სტანდარტის ამოქმედების შემდეგ ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვის მეთოდი არ შეცვლილა რადგან მსს ფასს 17.22 იძლევა აღნიშნული მოდელის გამოყენების შესაძლებლობას. ძირითადი საშუალებები ანგარიშგებაში აისახა ისტორიული ღირებულებით, ცვეთის გამოკლებით. კომპანიის საკუთრებაში არსებულ მიწას ცვეთა არ ერიცხევა. პერიოდის ცვეთის ხარჯი აღიარებულია ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯში.

ძირითადი საშუალებების ცვეთის ნორმები წარმოდგენილია ცხრილში

შპს „კატასტროფის, კრიტიკული მდგომარეობებისა და განსაკუთრებული სიტუაციების სასწრაფო სამედიცინო დახმარება“; ს/კ: 205283316
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

ჯგუფის დასახელება	ჯგუფში შემავალი ძირითადი საშუალებები	ცვთვის ნორმა (%)
შენობები	შენობები და ნაგებობები	5
სამედიცინო აპარატურა (მანქანა დანადგარები)	სამედიცინო დანიშნულების აპარატურა, მონიტორები, ინსტრუმენტები, დიაგნოსტიკის ტექნიკა, სამედიცინო დანიშნულების საწოლები, კონდიციონერები,	20
ოფისის აღჭურვილობა	კომპიუტერები, მონიტორები, პრინტერები, სალარო აპარატები, სამეთვალყურეო კამერები, უწყვეტი კვების ბლოკები	20
ავეჯი და სხვა ინვენტარი	ავეჯი ოფისისთვის, სხვა სამედიცინო ავეჯი და სხვა ინვენტარი რომელიც არაა განკუთვნილი პაციენტისთვის	20
სატრანსპორტო საშუალებები	რეანიმობილები (სასწრაფო დახმარების მანქანები) და მსუბუქი ავტომობილები	20

2020 წლის წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებების გაუფასურების ნიშნები არ დადგენილა.

აღიარების შეწყვეტა

ძირითადი საშუალების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებასა ან ზარალში.

არამატერიალური აქტივები

აღიარება და შეფასება

შეძენილი არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით, რაც მოიცავს მისი შესყიდვის ფასს, მათ შორის საიმპორტო ბაჟს და უკანდაუბრუნებად გადასახადებს, სავაჭრო დისკონტების და ფასდაკლებების დაქვითვის შემდეგ და აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო ნებისმიერ სხვა პირდაპირ ხარჯს. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, არამატერიალური აქტივები ტარდება არანაკლებ დაგროვილი ამორტიზაციისთვის.

კომპანიაში წარმოშობილი არამატერიალური აქტივები, კაპიტალიზებული განვითარების ხარჯების გამოკლებით, არ არის კაპიტალიზირებული და მასთან დაკავშირებული დანახარჯები აისახება მოგება ან ზარალში იმ პერიოდის განმავლობაში, როცა გაწეულ იქნა

შპს „კატასტროფის, კრიტიკული მდგომარეობებისა და განსაკუთრებული სიტუაციების სასწრაფო სამედიცინო დახმარება“; ს/კ: 205283316
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

ეს დანახარჯები. განსაზღვრული სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია წარმოებს იმგვარად, რომ მოხდეს აქტივის თვითღირებულების ჩამოწერა გამოთვლილი წარჩენი ღირებულების გამოკლებით, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

ამორტიზაცია

არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია აისახება მოგება ან ზარალში, შემცირებადი ნაშთის გამოყენებით. ძირითადი საშუალებებისათვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. არამატერიალური აქტივების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

- ლიცენზიები 3 წლამდე;
- პროგრამული უზრინველყოფა 10 წლამდე;
- სხვა არამატერიალური აქტივები 10 წლამდე;

განუსაზღვრელი სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია არ წარმოებს.

აღიარების შეწყვეტა

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენებით ან გასხვისებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება. სხვაობა გასხვისების შედეგად მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება იმ წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც შეწყდა აქტივის აღიარება.

სავაჭრო ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია ყველა ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს სამართლიანი ღირებულებით, რაც განისაზღვრება გარიგების ფასით. ფინანსური ვალდებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, ამოიწურება ან დაიფარება. სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალში.

დივიდენდები

დივიდენდების კაპიტალში აღიარება ხორციელდება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა. როგორც წესი, დივიდენდები ვალდებულებებად აღიარდება იმ პერიოდში,

შპს „კატასტროფის, კრიტიკული მდგომარეობებისა და განსაკუთრებული სიტუაციების სასწრაფო სამედიცინო დახმარება“; ს/კ: 205283316
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ქართულ ლარში)

როდესაც მტკიცდება მათი განაწილება დირექტორთა საბჭოს საერთო კრებაზე. შუალედური დივიდენდები აღიარდება გადახდისთანავე.

გადასახადები და შეღავათები

კომპანიის მიერ გადახდილი გადასახადების 95%-ზე მეტი წარმოდგენილია საშემოსავლო გადასახადის სახით. საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვა წარმოებს საგადასახადო დეკლარაციებში ასახული გადასახადის ოდენობით.

მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად საწარმო მოგების გადასახადით იბეგრება ე.წ. “ესტონური მოდელით”. დაბეგვრის ობიექტია განაწილებული მოგება. ასევე ხარჯები და განაცემები, რომლებიც საგადასახადო მიზნისათვის არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯებს ან განაცემებს. საანგარიშო პერიოდში დივიდენდი არ გაცემულა და აქედან გამომდინარე აღნიშნული გადასახადით დასაბეგრი ოპერაციების წილი მთლიან გადახდილ გადასახადებში არ ყოფილა.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით სამედიცინო საქმიანობისათვის გამოყენებული ქონება გათავისუფლებულია ქონების გადასახადიდან, მაგრამ ვინაიდან კომპანია ეწევა მის ბალანსზე რიცხული უძრავი (შემობის ფართობი) და მოძრავი (რენაიმობილები) ქონების გაქირავებას, საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვა წარმოებს საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, დეკლარაციაში ასახული გადასახადის ოდენობით.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

ხელფასები, გასამრჯელოები, ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებები, ბიულეტენები, პრემიები და არაფულადი სარგებლობები კომპანიის მიერ ექვემდებარება დარიცხვას იმავე პერიოდში, რომელშიც კომპანიის თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურება იქნა გაწეული. არსებობის პრინციპიდან გამომდინარე, კომპანიის მიერ არ ხდება გამოუყენებელი შვებულების ანარიცხების აღრიცხვა ფინანსურ ანგარიშგებაში (არაარსებობის გამო).

შენიშვნა 4. ხარჯები

კომპანიაში ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. ხარჯების კლასიფიკაცია ხდება ეკონომიკური შინაარსის მიხედვით.

გაწეული მომსახურების დანახარჯი არის ის ხარჯი რომელიც პირდაპირ არის დაკავშირებული მომსახურებისგან მიღებული შემოსავლის გამომუშავებასთან. აღნიშნული

შპს „კატასტროფის, კრიტიკული მდგომარეობებისა და განსაკუთრებული სიტუაციების სასწრაფო სამედიცინო დახმარება“; ს/კ: 205283316
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ქართულ ლარში)

დანახარჯები მოიცავს პერსონალის პირდაპირ და არაპირდაპირ სახელფასო ანაზღაურებას, მასალებს, კომუნალურ და სხვა პირდაპირ ხარჯებს.

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

დასაქმებულთა ანაზღაურება	57,964
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი	38,287
სატელეფონო და ინტერნეტის ხარჯები	50
მომსახურების ხარჯი	1,030
ბანკის საკომისიო ხარჯი	79
მიმდინარე რემონტის ხარჯები	7,968
ჯამი	105,378

შენიშვნა 5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ძირითადი საშუალებების კლასი	ნაშთი 31.12.2019	ზრდა/შე მოსვლა	გასხვისება /გასვლა	ცვეთა	ნაშთი 31.12.2020
მიწის ნაკვეთები	63,220			-	63,220
შენობა-ნაგებობები	187,241			9,362	177,879
სამედიცინო აპარატურა (მანქანა-დანადგარები)	19,602			3,921	15,681
ოფისის აღჭურვილობა	6,137			1,227	4,910
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2,309			462	1,847
სატრანსპორტო საშუალებები	120,164			23,314	96,850
ჯამი:	398,673			38,286	360,387

შენიშვნა 6. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	31.12.2020	31.12.2019
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	6	6
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	18,152	23,068
სულ ფულადი ექვივალენტები:	18,158	23,074

შპს „კატასტროფის, კრიტიკული მდგომარეობებისა და განსაკუთრებული სიტუაციების სასწრაფო სამედიცინო დახმარება“; ს/კ: 205283316
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ქართულ ლარში)

შენიშვნა 7. მარაგი

მარაგი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	31.12.2020	31.12.2019
ნედლეული და მასალები	8,109	8,109
სხვა	8,005	8,005
სულ მარაგები:	16,114	16,114

შენიშვნა 8. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

სადაზღვევო კომპანია სს „არქიმედე გლობალ ჯორჯია“-ს გავრცელების შედეგად სახელმწიფომ, კერძოდ ჯანდაცვის სამინისტრომ აიღო ვალდებულება არსებული დავალიანების გასტუმრების შესახებ, რის საფუძველზეც გაფორმდა ხელშეკრულება ჩვენს კომპანიასა და ჯანდაცვის სამინისტროს შორის, რაც ითვალისწინებდა რომ სამინისტრო ეტაპობრივად გადაიხდიდა დავალიანებას, მაგრამ ყოველივე ეს იქნებოდა უპროცენტო სესხად გადაცემული სამედიცინო დაწესებულებებზე მანამ სანამ ჯანდაცვის სამინისტრო არ მოახდენდა სადაზღვევო კომპანიის სრულ ლიკვიდაციას, ამიტომ ყოველივე აქედან გამომდინარე მიღებული თანხები ასახულ იქნა გრძელვადიან სასესხო ვალდებულებების ნაწილში, რომელიც 2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

გრძელვადიანი სესხები	31.12.2020	31.12.2019
სესხი ეროვნული ვალუტით	23,614	23,614
სულ გრძელვადიანი სესხები:	23,614	23,614

შენიშვნა 9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

შპს „კატასტროფის, კრიტიკული მდგომარეობებისა და განსაკუთრებული სიტუაციების სასწრაფო სამედიცინო დახმარება“; ს/კ: 205283316
 კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ქართულ ლარში)

სავაჭრო ვალდებულებები	31/12/2020	31/12/2019
სათადარიგო ნაწილები (საქონელი) და მომსახურება	-	6,229
სხვა საქონელი და მომსახურება	-	19,985
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	-	4,831
სხვა ვალდებულებები	104,778	116,172
სულ სავაჭრო ვალდებულებები	104,778	147,217

შენიშვნა 10. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე.

ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ.

როდესაც საწესდებო კაპიტალი არაფულადი შენატანით იზრდება, აღნიშნული შენატანი აღიარდება როგორც დამატებითი შეტანილი კაპიტალი.

კაპიტალში შენატანი საანგარიშგებო პერიოდში არ განხორციელებულა. პარტნიორთა გადაწყვეტილებით საანგარიშგებო პერიოდში დივიდენდებიც არ გაცემულა.

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 1,097,323 ლარს, ასევე 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 1,097,323 ლარს.

შპს „კატასტროფის, კრიტიკული მდგომარეობებისა და განსაკუთრებული სიტუაციების სასწრაფო სამედიცინო დახმარება“; ს/კ: 205283316
 კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ქართულ ლარში)

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2019 წლის 01 იანვარი	1 097 323	39 050	205 065	1 341 438
წმინდა მოგება	0	0	(38 716)	(38 716)
სხვა სრული შემოსავალი	0	0	0	0
პერიოდის სრული შემოსავალი	0	0	0	0
გაცემული დივიდენდი	0	0	0	0
საწესდებო კაპიტალის ზრდა	0	0	0	0
2019 წლის 31 დეკემბერი	1 097 323	39 050	166 349	1 302 722
წმინდა მოგება	0	0	(38 268)	(38 268)
სხვა სრული შემოსავალი	0	0	0	0
პერიოდის სრული შემოსავალი	0	0	0	0
გაცემული დივიდენდი	0	0	0	0
საწესდებო კაპიტალის ზრდა	0	0	0	0
2020 წლის 31 დეკემბერი	1 097 323	39 050	128 081	1 264 454

შენიშვნა 11. ინფორმაცია ფინანსურ რისკებზე

საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობების განხორციელებისას, კომპანია ექვემდებარება შემდეგ ფინანსურ რისკებს:

- ლიკვიდურობის რისკი: ალბათობა იმისა რომ დებიტორი დროულად ვერ დაფარავს ვალდებულებას, ან გაკოტრდება, რაც წარმოადგენს ზარალს კომპანიისათვის.
- სავალუტო რისკი: არის შემთხვევები, როდესაც ძვირადღირებული სათადარიგო ნაწილების ნასყიდობის ხელშეკრულება ფორმდება უცხოური ვალუტის კურსის გათვალისწინებით. ეროვნული ვალუტის გაუფასურების ტენდენცია და იმპორტირებულ პროდუქციაზე (მედიკამენტები, ტექნიკა, საწვავი) ფასების დონის ზრდა, მნიშვნელოვან ზარალს აყენებს კომპანიას.

შპს „კატასტროფის, კრიტიკული მდგომარეობებისა და განსაკუთრებული სიტუაციების სასწრაფო სამედიცინო დახმარება“; ს/კ: 205283316
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

შენიშვნა 12. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდგომ არ მომხდარა სხვა ისეთი მოვლენა, რაც მოითხოვს დამატებით კორექტირებას ან ახსნა-განმარტებას ფინანსურ ანგარიშგებაში.

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან მომზადებული და დამტკიცებულია 2021 წლის 23 სექტემბერს.

დირექტორი:  /ამირან ქორიძე/

ფინანსური დირექტორი:  /დავით ბანცაძე/

